საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვირიკიდები

კვირიკიდები, კვირიკიანები, სომეხი ბაგრატუნების ერთი შტო შუა საუკუნეებში, ტაშირ-ძორაგეტის (ლორე-ტაშირი) ფეოდალური სახელმწიფოს მმართველი დინასტია (978–1118). დააარსა გურგენმა (კვირიკე, 978–989). კ-ის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა გურგენის მემკვიდრის, დავით I „უმიწაწყლოს“ (989–1048) და კვირიკე II-ის (1048–89) დროს. ეს უკანასკნელი ერთადერთი დამოუკიდებელი მმართველი იყო სომეხ ბაგრატუნთა შორის და მეფის ტიტულსაც ატარებდა. მან საკუთარი ფულიც მოჭრა, მაგრამ დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა და საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მოხარკე გახდა. 1118 დავით IV აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკებისაგან განთავისუფლებული ლორე-ტაშირი კვლავ დაიბრუნა და უშუალოდ შემოუერთა საქართველოს, ხოლო კ-ის სამეფო საბოლოოდ გააუქმა. ამის შემდეგ კ. იხსენიებიან (XIII ს. დასაწყ.) როგორც ტავუშისა და მაწნაბერდის მფლობელები.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, «მაცნე», 1968, № 6; მ ა ი ს უ რ ა ძ ე გ., ნარკვევები საქართველოსა და სომ-ხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV–XII სს-ში, თბ., 2002; მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფ., [1928]; Л о р д к и п а н и д з е М. Д., История Грузии XI – начала XIII века, Тб., 1974.

გ. მაისურაძე